

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/107

თბილისი

“ 27 “ დეკემბერი 2018 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის 2 მუხლის, 1 პუნქტის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 28 დეკემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2019 წლის 29 იანვრიდან 2019 წლის 08 თებერვლის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 20 თებერვალს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (21, 22, 25 თებერვალი) კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 26 თებერვალს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 3 აკადემიური პერსონალი - 3 ასოცირებული პროფესორი.

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი **ბიზნესის მართვის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა

1 ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

1 ასოცირებული პროფესორი

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალთ);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

მაია უკლება